არასამეწარმეო „არაკომერციული" იურიდიული პირი

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება

სენაკი,ღვინჯილიას ქ3.ა
ელ.ფოსტა senakisporti@gmail.com

ტელ: 0(413)221151
ს/კ 239893683
მობ: 591 90 20 90

№ 21

14 მარტი 2025 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის
მერს ბ-ნ ვ. გადელიას

ბატონო ვახტანგ ,

თქვენი, 13.03.2025 წლის N402507225 წერილის პასუხად გეგზავნებათ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

პატივისცემით,

გაერთიანების დირექტორი ჯ. ლაშქარავა

ანგარიში

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების 2024 წლის **გაწეული საქმიანობის შესახებ**

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე, რომელიც მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციების შექმნასა და მათი მეცადინეობების ორგანიზებულად, კვალიფიციურად წარმართვას ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებლების მეშვეობით; სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონებიდან და ქვეყნის მასშტაბით მოწვეული გუნდების მონაწილეობას, სპორტის სასახლეში ქვეყნის მასშტაბით მოწყობილი შეჯიბრებების ხელშეწყობას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ღონისძიებათა ჩასატარებლად დარბაზის მომზადებაში, შეჯიბრების ორგანიზებულად წარმართვაში და ა. შ.

2024 წლის იანვრიდან სასპორტო სკოლასთან შექმნილია 16 სახეობის 34 ჯგუფი, რომელშიც 631 ნორჩი სპორტსმენი იმაღლებს მომზადების დონეს, მათ შორის ბ/რომაული ჭიდაობის 4 ჯგუფი - 68 აღსაზრდელით, კალათბურთის 3 ჯგუფი 88 - აღსაზრდელით, ძიუდოს 3 ჯგუფი 108 აღსაზრდელით, ჭადრაკის 2 ჯგუფი 49 აღსაზრდელით, რაგბის 2 ჯგუფი 25 აღსაზრდელით, კრივის 5 ჯგუფი 89 აღსაზრდელით, კარატე-დოს 3 გჯუფი 59 აღსაზრდელით, ტაეკვანდოს 2 ჯგუფი 30 აღსაზრდელით, ხელბურთის 1 ჯგუფი 13 აღსაზრდელით, მაგიდის ჩოგბურთის 1 ჯგუფი -21 აღსაზრდელიT, მკლავჭიდის 1 ჯგუფი 7 აღსაზრდელით, სამბო 1 ჯგუფი 11 აღსაზრდელი, ქართული ჭიდაობა 2 ჯგუფი 29 აღსაზრდელით, კიკბოქსინგის 1 ჯგუფი 11 აღსაზრდელით, კუდოს 1 ჯგუფი 15 აღსაზრდელით, პროფესიული კრივი 1 ჯგუფი 8 აღსაზრდელით.

ასევე გაერთიანებას ერიცხება 18 წელს მომქმედი 38 სპორტსმენი და კოორდინაცია ეწევა მათ მომზადებას, საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე გაგზავნას და დაფინანსებას.

ჯგუფების საქმიანობას დღეის მდგომარეობით წარმართავს 26 ლიცენზირებული მწვრთნელ-მასწავლებელი. ყველა მათგანს გააჩნია შესაბამისი სპორტული ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზია ან ფედერაციის მიერ გაცემული ნებართვა, რომლითაც უფლება ეძლევათ აწარმოონ სამწვრთნელო-აღმზრდელობითი მუშაობა.

2024 წელს კალათბურთელთა გუნდი ,,სენაკი-სენაკი" მონაწილეობას ღებულობს 16-წლამდელთა ჩემპიონატში ,,ბ" ლიგაში.

გაერთიანება სისტემატურად აწყობს შეჯიბრებებს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონის მაშტაბით და ეს შეჯიბრებები სულ უფრო მაშტაბური ხდება. მასში ადგილობრივ გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების ნაკრები გუნდები, ,,თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხულოს, ფოთის, მარნეულის, ზუგდიდის, სამტრედიას, ოზურგეთის, ხობის, აბაშის, ბოლნისის, მარტვილის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ამბროლაურის, სტეფაწმინდის და სხვა.

2024 წლის 1- იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა ღონისძიებები:

- სენაკის პირად-გუნდური ღია პირველობა ტაეკვონდ-ში
- 26 მაისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები
- ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჭადრაკში
- შიდა ღია ჩემპიონატი მოკლე ნარდში

-აფხაზეთის დაცემის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით მოსწავლეთა შორის ღია ტურნირი ჭადრაკში.

გარდა ადგილზე მოწყობილი ღონისძიებებისა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სენაკელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სასპორტო გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე: ბ/რომაულ ჭიდაობაში, კარატე-დო-ში, კრივში, ჭადრაკში, ძიუდოში, ტაეკვონო-ში,ხელბურთში და ა.შ.

ბ/რომაული ჭიდაობა-მსოფლიო ჩემპიონატი 23 წლამდელებს შორის
ალბანეთში - I ადგილი გიორგი ჩხიკვაძე.
ბ/რომაული ჭიდაობა-საქართველოს ჩემპიონატი დიდებს შორის ბ/რომაულ ჭიდაობაში მე-3 ადგილი - ოჩიგავა ლუკა.
ევროპის ჩემპიონატი ,, ბაქო"-ში I ადგილი გიორგი ჩხიკვაძე.
ძიუდო-საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის II ადგილი, კუპრეიშვილი ბარბარე.
საქართველოს ჩემპიონატი ვეტერანებს შორის ძიუდოში II ადგილი, გვასალია ელგუჯა.
საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში გოგონებს შორის III ადგილი, ხუნჯუა ნინო, III ადგილი ჩინჩალაძე ბარბარე.
ევროპის ჩემპიონატი ,, **ბაქო"**-ში ვეტერანებს შორის ძიუდოში II ადგილი, ელგუჯა გვასალია.
ჭადრაკი-საქართველოს ჩემპიონატი - I ადგილი, გიორგი ჭანტურია
საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში -III ადგილი, გიორგი ჭანტურია.
კრივი -საქართველოს ჩემპიონატი გოგონებს შორის კრივში II ადგილი, ლიზი გნოლიძე.
კრივში საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორისII ადგილი, თეფანია ლევანი, III ადგილი გუნია ალექსი, III ადგილი ხაბურზანია ჯონი, III ადგილი, ცაავა გიორგი.
კარატე-დო საქართველოს ჩემპიონატი 1 ადგილი გუგუნავა ანდრია,
III ადგილი, ფარულავა კახა.
კიკბოქსინგი საქართველოს ჩემპიონატი I ადგილი, ჯიქია თამაზი,
I ადგილი, ზარანდია მიხეილი,
II ადგილი, ნანეიშვილი ნიკა,
III ადგილი, ცაგურია დავითი.
კუდო საქართველოს ჩემპიონატი **კუდოში** II ადგილი - გნოლიძე ლინი.
ტაეკვონდო-ში საქართველოს ჩემაიონატი II ადგილი - სანაია თეკლა
II ადგილი - ახალაია რუსუდანი,
III ადგილი - სანაია დავითი
III ადგილი - დემურია ნიკოლოზი
III ადგილი - ასკურავა ნიკოლოზი
III ადგილი - ნინუა გიორგი
აღნიშნული სპორტსმენები და მათი მწვრთნელ-მასწავლებლები წახალისდნენ შესაბამისი ფულადი ჯილდოთი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული სპორტსმენების უმრავლესობა საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში არიან ჩარიცხულნი.

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სპორტსმენებმა 2024 წელს მონაწილეობა მიიღეს 350–ზე მეტ რესპუბლიკურ, საერთაშორისო და რეგიონალურ ტურნირებში, სადაც მიღებული აქვთ 300-ზე მეტი საპრიზო ადგილი.

სასპორტო გაერთიანების კოლექტივის სერიოზულ წარმატებას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ დღეისათვის სპორტულ სექციებში მიმდინარე წელსა და წინა წლებში მიღწეული არა ერთი პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენი გვერიცხება, რომელთაც უკვე აქვთ საკმაო ხელშესახები მიღწევები სხვადასხვა ასაკოვან ჯგუფებში და მომავალში იმედის მომცემ სპორტსმენებად ჩამოყალიბდებიან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებლების: რამაზ კოკაიას , ამირან დავითაის, ზურაბ დავითაიას, გიორგი დავითაიას, გელა ხარბედიას, უჩა ჯღარკავას, თეიმურაზ ნაჭყებიას, ილია ცაავას, გოჩა და გიორგი ვახანიების, გიორგი კემულარიას, მერაბ ჯღამაძის, ზურაბ ლიფონავას, ელგუჯა გვასალიას, ელგუჯა ჩემიას, გია ლატარიას, მორისი სანაიას, ელისო გურგენაძის, აბესალომ იოსელიანის, კობა ჩხიკვაძის, თამაზ ხაფავას, შოთა კუჭავას, გოგიტა გოგიას, მალხაზ კილასონიას, თორნიკე ქორიას და ზაზა ხურცილავას ნაყოფიერი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას 2024 წლის 1 იანვრიდან საშტატო ნუსხით ერიცხება 56 საშტატო ერთეული და 4 შტატგარეშე ერთეული, აქედან: მწვრთნელ-მასწავლებელი 26 საშტატო ერთეული, ადმინისტრაცია 16 საშტატო ერთეული, ხოლო დანარჩენი 14 საშტატო ერთეული ტექნიკური მუშაკებია.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში სერიოზული ყურადღება ექცევა სახსრების სწორ და მიზნობრივ ხარჯვას. 2024 წლის დასაწყისში ნაშთი საკუთარი შემოსავლიდან გვერიცხებოდა 3301 ლარი. 2024 წელს ბიუჯეტით გამოგვეყო 840 000 ლარი და დაიგეგმა 4 ათასი ლარი საკუთარი შემოსავალი. 2024 წლის 12 თვის მდგომარეობით შემოსულია საკუთარი შემოსავალი 4233 ლარი.

2024 პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტის თანხიდან გახარჯულია 839 949 ლარი, (მათ შორის გაცემულია შრომის ანაზღაურება შტატით თანამშრომლებზე -559 52 ლარი, დანამატი შტატით თანამშრომლებზე -37 295 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება -29 395 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლებზე დანამატი -1960 ლარი. წარმატებულ სპორტსმებზე გაცემულია - 17150 ლარი, წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელ მასწავლებლებზე ფულადი ჯილდოს სახით გაცემულია- 5475ლარი, მივლინება მწვრთნელ მასწავლებლებზე - 23 037 ლარი, საწვავის ხარჯი სპორტსმენთა გადასაყვან-გადმოსაყვანად 10 000 ლარი, ასევე მწვრთნელ მასწავლებლებზე გაცემულია (სპორტსმენთათვის კვების, მგზავრობისა და სასტუმროს მომსახურებისათვის 90 700 ლარი) ოფისისა და სხვა დანარჩენ ხარჯებში გახარჯულია -65 414 ლარი. ასევე, 2024 წელს შეძენილია: 2 ცალი „ნოუთბუქი“, 1 ცალი სამაგიდო კომპიუტერი, 16 წლამდე კალათბურთელთა გუნდისთვის 32 ცალი (ორი-ორი კომპლექტი) შავი და თეთრი შორტი მაისური გაფორმებით, თორმეტ წლამდელ კალათბურთელთა გუნდისთვის შორტი-მაისური გაფორმებით, ბერძნულ-რომაული ჭიდაობისათვის საჭიდაო მანეკენი, შტანგის საწოლი; მოჭადრაკეებისათვის 3 კომპლექტი ჭადრაკის ფიგურა, 24 ცალი ჭადრაკის დაფა.

საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია 1740 ლარი, ნაშთი 01.01.2025 წლის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლიდან 5794 ლარი.

გაერთიანების დირექტორი: ჯ. ლაშქარავა

მთ. ბუღალტერი თ. ქარდავა